სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

პროგრეს ანგარიში

2024

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სარჩევი

შესავალი **3**

1. სამართლებრივი უზრუნველყოფა **5**

2. ტყის აღრიცხვა **6**

3. ტყითსარგებლობა **9**

3.1.მერქნული რესურსით სარგებლობა 9

3.2. სატყეო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია 11

4. ტყის მოვლა-აღდგენა **12**

4.1. ტყის აღდგენის ღონისძიებები 12

5. კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები **14**

6. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება **16**

7. სტრატეგიული დაგეგმვა-განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა **18**

7.1. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება 19

7.2. საერთაშორისო თანამშრომლობა 19

8. საზოგადოებასთან ურთიერთობა **23**

9. ბიუჯეტის შესრულება **33**

9.1. ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ 33

შესავალი

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო მართავს 1,739,000 ჰა სახელმწიფო ტყეს (ტყით დაფარულია 1,634,000 ჰა). შესაბამისად, სააგენტო ქვეყანაში ძირითადი ტყის მართვის ორგანოა და პასუხისმგებელია ტყითსარგებლობის, ტყის ინვენტარიზაციის, აგრეთვე ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე ქვეყნის 9 რეგიონში.

სააგენტო შედგება ცენტრალური აპარატისა და 9 რეგიონული სამსახურისაგან ***(დიაგრამა 1).***

სააგენტოში დასაქმებულია 1215 ადამიანი, მათ შორის:

- ცენტრალურ აპარატში 160 (მათგან შტატით განსაზღვრულ თანამდებობაზე - 88 თანამშრომელი, ხელშეკრულებით - 72 თანამშრომელი);
- 1055 თანამშრომელი დასაქმებულია 9 რეგიონულ სამსახურში (მათგან შტატით განსაზღვრულ თანამდებობაზე - 389 თანამშრომელი, ხელშეკრულებით - 666 თანამშრომელი.

სააგენტო არ ოპერირებს დაცულ ტერიტორიებზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თბილისსა და მის გარშემო არსებულ მუნიციპალური ერთეულების - სოფლებისა და ქალაქების, აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებულ ტყის ფართობზე.

სააგენტოს მიზანია, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. მდგრადი მართვის გზით, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის და სოფლად განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტოს პრიორიტეტებია:

- ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდა სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გაუმჯობესებული მექანიზმის დანერგვის გზით;
- ტყის მართვის დაგეგმვის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება;
- საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და ინფორმირების ხელშეწყობა;
- მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის უზრუნველყოფა და ეკოსისტემების მომსახურების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება;
- ინსტიტუციური გაძლიერება და მმართველობის გაუმჯობესება.

დიაგრამა 1: *სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრუქტურა*



1. სამართლებრივი უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში, სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით მომზადდა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილია:

- „სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“ მთავრობის განკარგულების პროექტი;
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „2023 წლისათვის სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი (ზოგიერთ მუნიციპალიტეტებში ხეტყის ტრანსპორტირების დაშვება);
- „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე 8 სამიზნე სატყეო უბანი“ პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად, სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას „GIZ“ შორის 2021 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით შეთანხმების პროექტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“ მთავრობის განკარგულების პროექტი ;
- „სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

2024 წლის 25 მარტის №2-388 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. (ტყის ფონდში ანძების განთავსებისათვის საფასურის გადახდის წესის ცვლილებაზე);
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. (სარეკლამო ბანერების განთავსების საკითხზე);
- „2025 წლისთვის სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში, სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით მომზადდა და გამოიცა

- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი. (ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დამატებით დაემატა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა/ზედამხედველობის ფუნქცია).

2. ტყის აღრიცხვა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფართობების აღრიცხვა სისტემატური პროცესია, რომლის დროსაც სააგენტო მოიპოვებს ინფორმაციას ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ, ადგენს სატყეო უბნების საზღვრებს და შეიმუშავებს ტყის მართვის გეგმებს.

ტექნიკურ-მატერიალური ბაზისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება:

- საანგარიშო პერიოდში, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გამოცხადდა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად დაგეგმილი პროფესიული გადამზადების პროგრამის – „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია" სასწავლო პროცესში მსმენელების მიღება, გადამზადდა 15 ახალგაზრდა (უნივერსიტეტ დამთავრებული) მეტყევე-ინჟინერი, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ტყის აღრიცხვის საველე სამუშაოებში.
- მიმდინარეობდა საქმისწარმოებასთან დაკავშირებული გეო-საინფორმაციო სისტემის შექმნა და სრულყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს სააგენტოში შემოსული კორესპონდენციების და საქმის წარმოებაში არსებული მასალების კარტოგრაფიულ ვიზუალიზაციას.

ტყის აღრიცხვა და მართვის გეგმის მომზადება:

დასრულდა - ონის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) საველე სამუშაოები - 57417 ჰა ფართობზე.

დასრულდა - ცაგერის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) საველე სამუშაოები - 50827 ჰა ფართობზე.

დასრულდა - ყვარლის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) საველე სამუშაოები - 45044 ჰა ფართობზე, ველზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის ტყის მართვის გეგმა;

დასრულდა - თელავის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) საველე სამუშაოები - 52331 ჰა ფართობზე, ველზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის ტყის მართვის გეგმა;

მიმდინარეობს - ოზურგეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) I ეტაპით გათვალისწინებული კარტოგრაფიული სამუშაოები - 19300 ჰა ფართობზე, რათა შემდგომში შემუშავდეს მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის ტყის მართვის გეგმა;

დასრულდა - ახმეტის სატყეო უბნისთვის - 55492 ჰა ფართობზე შემუშავებული ტყის მართვის გეგმის საჯარო განხილვა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 14 თებერვლის N2-146 ბრძანებით;

დასრულდა - დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნისთვის სახელმწიფო ტყის ფართობების ამორიცხვა/ჩარიცხვის პროცედურები, გამოიცა საქართველოს მთავრობის შესაბამისი 9.09.2024წ. N1274 განკარგულება, ამ ეტაპისთვის აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ტყის ფართობი შეადგენს - 23644 ჰა-ს, ველზე მოპოვებული მასალების საფუძველზე შემუშავდა მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის ტყის მართვის გეგმა, რომელიც გადაგზავნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო განხილვის მიზნით;

მომზადდა - თიანეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტექნიკური დავალება 40924 ჰა ფართობისთვის, რომელიც დამტკიცდა სააგენტოს უფროსის 19.11.2024წ. N3285/ს ბრძანებით, მასალები მომზადებულია ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისთვის.

მუდმივი რადიუსის წრიული სანიმუშო ფართობების აღრიცხვის (FMI) სამუშაოები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდა კორექტირება (ამორიცხვა, ჩარიცხვა) ამბროლაურის, ადიგენისა, წალკა-თეთრიწყაროს და სიღნაღი-დედოფლისწყაროს სატყეო უბნების სახელმწიფო ტყეში ჩასარიცხი და ამოსარიცხი ფართობების Shp-ფაილების;

დასრულდა საველე სამუშაოები - „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი“ პროექტის ფარგლებში რვავე სატყეო უბანში, სულ აღებულია 990 (ცალი) მუდმივი რადიუსის წრიული FMI-სანიმუშო ფართობი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ველზე მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისთვის საჭირო სხვადასხვა საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების განხილვა/შეჯერება; განხორციელდა სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ მომსახურება (საკადასტრო აზომვითი ნახაზები, აბრისები, სიტუაციური ნახაზები და სხვა), ხოლო საერთო ჯამურმა შემოსავალმა სააგენტოს ბიუჯეტში შეადგინა 297000 ლარი; განხორციელდა - საქმიანი ეზოს მოწყობის მიზნით, 52 (ცალი) მიწის აზომვითი სამუშაოები სხვადასხვა სატყეო უბანში;

3. ტყითსარგებლობა

ტყითსარგებლობის დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია ტყითსარგებლობის რეგულირებისა და დაგეგმვის ორგანიზებაზე, სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტების მომზადებაზე, აგრეთვე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის (გარდა აუქციონის წესით გაცემისა) ღონისძიებების ორგანიზებაზე, მერქნული რესურსებით სარგებლობაზე:

3.1.მერქნული რესურსით სარგებლობა

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრებით დამზადებულია 91 580.01 კბმ მერქნული რესურსი;

ცხრილი 1. *სააგენტოს მიერ განხორციელებული ჭრა (2024 წელი)*

სატყეო სამსახური	**სამეურნეო ჭრით დამზადებული მოცულობა (მ3)**	**მოვლითი ჭრით დამზადებული მოცულობა (მ3)**	**სულ**
მცხეთა-მთიანეთი	3896.35	0	3896.35
სამეგრელო-ზემო სვანეთი	43571.66	0	43571.66
გურია	232.29	41.26	273.55
იმერეთის სატყეო სამსახური	7928.29	135.72	8064.01
კახეთის სატყეო სამსახური	3757.18	0	3757.18
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური	13871.77	0	13871.77
სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	7974.97	8025.61	16000.58
შიდა ქართლის სატყეო სამსახური	1996.93	147.98	2144.91
სულ:	**83229.44**	**8350.57**	**91580.01**

ეროვნული სატყეო სააგენტო მისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციების სათბობი მერქნული რესურსით უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგების მიზნით, დამზადებული და მიწოდებულია 17819.61კბმ მერქნული რესურსი.

ცხრილი 2. *სააგენტოს მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგება (2024 წელი)*

სატყეო სამსახური	**მომარაგება კბმ**
მცხეთა-მთიანეთი	2068.00
სამეგრელო-ზემო სვანეთი	585.00
ქვემო-ქართლი	2362.00
გურია	849.00
იმერეთის სატყეო სამსახური	4198.40
კახეთის სატყეო სამსახური	2211.00
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური	608.21
სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	4422.00
შიდა ქართლის სატყეო სამსახური	516.00
სულ:	**17819.61**

საანგარიშო პერიოდში სათბობი შეშით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია 207 847,94 კბმ მერქნული რესურსი.

ცხრილი 3. *სოციალური ჭრა (2024 წელი)*

სატყეო სამსახური	**ხე-ტყის ათვისებული მოცულობა (მ3)**
გურიის სატყეო სამსახური	2655.45
იმერეთის სატყეო სამსახური	13156.69
კახეთის სატყეო სამსახური	41952.17
მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური	24533.13
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური	17039.39
სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური	5222.00
სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	40315.76
ქვემო ქართლის სატყეო სამსახური	30940.10
შიდა ქართლის სატყეო სამსახური	32033.25
სულ:	**207847.94**

3.2. სატყეო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარეობდა საველე და კამერალური სამუშაოები, რის შედეგადაც მოეწყო და რეაბილიტირდა 121 ერთეული გზა, სულ - 129.016 კმ (მოწყობა - 9.159 კმ; რეაბილიტაცია - 119.857 კმ). მათ შორის:

დაპროექტდა ტყეკაფებამდე მისასვლელი გზები საერთო სიგრძით 129,016 კმ.
მათ შორის:
რეაბილიტაცია 119.857 კმ.
მოწყობა 9.159 კმ.
ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანზე“ (GIZ) პროექტის ფარგლებში 26.810 კმ მოწყობა-რეაბილიტაცია.
ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში II ფაზა“ სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ადიგენის სატყეო უბნის კეხოვანის სატყეოში საერთო სიგრძით 5.175 კმ. (რეაბილიტაცია 2.714 კმ. მოწყობა 2.461 კმ.)

შესრულდა ტყეკაფებამდე მისასვლელი გზები საერთო სიგრძით 107.039 კმ.

მათ შორის:

რეაბილიტაცია 100.697 კმ.

მოწყობა 6.342 კმ.

ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანზე“ (GIZ) პროექტის ფარგლებში შესრულდა 8.321კმ მოწყობა-რეაბილიტაცია.

ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში II ფაზა“ სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ადიგენის სატყეო უბნის კეხოვანის სატყეოში შესრულდა 2.714 კმ. გზის რეაბილიტაცია.

4. ტყის მოვლა-აღდგენა

ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების ორგანიზებას, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე მავნებელ-დაავადებათა მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას.

4.1. ტყის აღდგენის ღონისძიებები

2024 წელს ტყის აღდგენა გაშენების ღონისძიებები განხორციელდა 2120.6 ჰა ფართობზე, მათ შორის დარგული იქნა 24 250 ნერგი. მ.შ.:

- 346.81 ჰა ფართობზე განხორციელდა 2023-24 წლებში დაპროექტებული ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები (ახალი პროექტები):
    - სამცხე-ჯავახეთი - 252.4 ჰა;
    - ქვემო ქართლი - 28.2;
    - შიდა ქართლი - 38.2 ჰა;
    - კახეთი - 10 ჰა;
    - იმერეთი - 28 ჰა-ზე.

- 1773,79 ფართობზე განხორციელდა მიმდინარე და გასულ წლებში აღდგენილ გაშენებული ფართობების მოვლის ღონისძიებები მ.შ:
    - სამცხე-ჯავახეთი - 403.2 ჰა;

- ქვემო ქართლი - 128.1 ჰა;
- შიდა ქართლი 21.7 ჰა;
- კახეთი - 345.5 ჰა;
- გურია - 677.0 ჰა;
- იმერეთი 175.3 ჰა.

➢ 2024 წელს დაგეგმილი ტყის აღდგენა - გაშენების ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ ახალი პროექტები:
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის - 67 ჰა და ქვემო ქართლის (ჭალის ტყე) – 65 ჰა, ასევე, მიმდინარე და გასულ წლებში აღდგენილი გაშენებული ფართობების მოვლა: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში - 33.6 ჰა ფართობზე კლიმატური პირობების გაუარესების გამო, გადაიდო 2025 წლის შესაბამისი პერიოდისათვის.

2024 წელს განხორციელდა 9000 ცალი ფერომონის შესყიდვისათვის სატენდერო პაკეტის შემუშავება და ტენდერის გამოცხადება/ფერომონების შესყიდვა. განხორციელდა როგორც წინა წლებში, ასევე, მიმდინარე წელს მავნებლების მიერ დაზიანებული ფართობების 15 საველე მონიტორინგი მცენარეთა ფიტოსანიტარული მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით სხვადასხვა რეგიონებში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განხორციელდა, 26.000 ჰა ფართობზე განთავსებული 3000 ცალი მბეჭდავი ქერქიჭამიას ფერომონიანი მწერმჭერების 11 საველე მონიტორინგი.

განხორციელდა ყველა სატყეო უბნისთვის შემდეგი სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვა: ჩაფხუტი - 152 ცალი; რესპირატორი - 570 ცალი; ხელთათმანები - 645 ცალი; პირველადი დახმარების ნაკრები - 43 ცალი; ცეცხლის საქრობი საფერთხელი - 68 ცალი; ზურგჩანთიანი შესასხურებელი - 61 ცალი; რაცია - 21 ცალი. ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დაიბეჭდა 100 ერთეული ინფორმაციული ბანერი, ტყეში ქცევის წესების შესახებ და განთავსდა ყველა რეგიონულ სატყეო სამსახურს დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.

5. კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები

2024 წლის განმავლობაში, სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსული დოკუმენტაციის, განხორციელებული საველე და დოკუმენტური შემოწმებების საფუძველზე, მოამზადეს 45 დასკვნა, რომელთა საფუძველზეც, სააგენტოს 70 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ: დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ,,შენიშვნა" დაეკისრა 48 თანამშრომელს, „გაფრთხილება" მიეცა 4-ს, „საყვედური" გამოეცხადა 6-ს, „თანამდებობრივი სარგო დაუკავდა" 11 თანამშრომელს, ხოლო 3 თანამშრომელი „გათავისუფლდა სამსახურიდან", გარდა ამისა 3 შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში. საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, შემდგომი რეაგირების მიზნით შემოვიდა, თანამშრომელთა მხრიდან, მუშა პროცესში გადაცდომების შესახებ სხვადასხვა კორესპონდენცია და ვინაიდან 133 შემთხვევაში სახეზე იყო მხოლოდ მექანიკური სახის ხარვეზები, მათ მიმართ არ გამოყენებულა დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე სახის ზომა, მომზადდა მოხსენებითი ბარათები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, ხოლო 7 შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში.

2024 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დეპარტამენტის თანამშრომლებმა დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში, 2024 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტლებში, რეგიონულ სატყეო სამსახურებში შერჩევითი წესით შეისწავლეს, 2023-24 წლებში, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირების თაობაზე მოქალაქეთა განცხადებები და მათი შესრულების მდგომარეობა. შერჩევით შემოწმდა, ამავე პერიოდში სატყეო სამსახურის მიერ სოციალური და სპეციალური მიზნით გამოყოფილი ტყეკაფების მასალები, სატყეო სამსახურის მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები, მათი გაუქმების, ასევე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. შემოწმების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, რაზედაც სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაიცა რეკომენდაციები და 2 სატყეო სამსახურის შესაბამისი თანამშრომლების მიმართ განხორციელდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.

2024 წელს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, დათვალიერდა საგარეჯოს სატყეო უბნის პატარძეულის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ფახრალოს და ფოლადაურის, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის ხრამის, მარტვილის სატყეო უბნის სალხინოს და გაჭედილის,

ხაშურის სატყეო უბნის ჩორჩანას, ხონი-სამტრედიის სატყეო უბნის კინჩხას, ამბროლაურის სატყეო უბნის სხვავას, ონის სატყეო უბნის ონის და თელავის სატყეო უბნის წინანდლის სატყეოებში სააგენტოს მიერ გამოყოფილი ტყეკაფები და მიმდებარე სახელმწიფო ტყის ტერიტორიები, რა დროსაც გამოვლინდა დარღვევები ტყეკაფების ათვისებისას და დაფიქსირდა უკანონოდ მოჭრილი სხვადასხვა ჯიშის და დიამეტრის, I და II ხარისხის ჯამში 1 688 ძირი ხე-მცენარე, საერთო მოცულობით 1 209,62 მ 3, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანის თანხამ შეადგინა 188 612,06 ლარი. ყოველივე აღნიშნულზე სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაიცა რეკომენდაციები და სატყეო სამსახურის შესაბამისი თანამშრომლების მიმართ განხორციელდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება, რაც შეეხება უკანონო ჭრებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში. 2024 წლის განმავლობაში სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირებისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომლების (შრომის უსაფრთხოების გადამზადებული სპეციალისტები) მიერ დათვალიერებული იქნა ყველა რეგიონული სატყეო სამსახურის საქმიან ეზოებში, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. გამოვლენილ ხარვეზებზე, მათი გამოსწორების მიზნით გაიცა რეკომენდაციები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უსაფრთხოების ნორმების დარღვევით გამოწვეული არასასურველი შემთხვევები. პარალელურად, სატყეო სამსახურებისა და საქმიანი ეზოების თანამშრომლებს ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ პირველადი და ზოგადი ინსტრუქტაჟი. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ანალიტიკისა და მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა სააგენტოს მიერ 3 წარმოებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე არსებული პრაქტიკის და სამართალდარღვევათა სტატისტიკის შემოწმება. აღნიშნულთან დაკავშირებით, რეგიონული სატყეო სამსახურებიდან, დეპარტამენტში ყოველთვიურად იგზავნება მონაცემები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, ხორციელდება მათი სისტემატიზაცია და საერთო რეესტრის წარმოება, ამასთანავე განხორციელდა მივლინებები სატყეო სამსახურებში, სადაც ადგილზე იქნა შესწავლილი და შეფასებული სააგენტოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების საქართველოს კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობა. შედეგებთან დაკავშირებით მომზადებული იქნა შესაბამისი ანგარიშები და გაიცემა რეკომენდაციები.

6. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში დასაქმებული (შტატით/შტატგარეშე) თანამშრომლები სააგენტოში დასაქმებულია 1215 ადამიანი, მათ შორის ცენტრალურ აპარატში - 160 (მათგან შტატით განსაზღვრულ თანამდებობაზე - 88 თანამშრომელი, ხელშეკრულებით - 72 თანამშრომელი), ხოლო 1055 თანამშრომელი დასაქმებულია 9 რეგიონულ სამსახურში (მათგან შტატით განსაზღვრულ თანამდებობაზე - 389 თანამშრომელი, ხელშეკრულებით - 666 თანამშრომელი).

დასაქმებულთა რაოდენობა: 1215; მათგან მამრობითი - 1073; მდედრობითი -142.

დიაგრამა 2: *დასაქმებულთა რაოდენობის გენდერული განაწილება.*



დიაგრამა 3: *შტატიანი და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა.*

დიაგრამა 4: *თანამშრომელთა ასაკობრივი ჯგუფებისა და გენდერის მიხედვით განაწილება.*



- 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა

423 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ, 132 ბრძანება - თანამშრომელთა წახალისებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, 806 ბრძანება - თანამშრომელთა შვებულების შესახებ, 1161 ბრძანება - მივლინების შესახებ, გაფორმდა 1725 შრომითი ხელშეკრულება;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების ზოგიერთ თანამდებობაზე დასანიშნად შესაბამისი კანდიდატების კონკურსის წესით შერჩევის მიზნით მომზადდა 15 ბრძანება 63 ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ - გვერდზე ატვირთული იქნა და შესაბამისად გადაირჩა 279 აპლიკაცია. შეფასება/გადარჩევის ეტაპი გაიარა (გადალახა) და კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავიდა 90 კანდიდატი, კონკურსის წესით დაინიშნა 38 კანდიდატი;
- აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემოსულ წერილებზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მომზადდა შესაბამისი პასუხი;
- პერიოდულად ხდებოდა eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა/განახლება;
- განხორციელდა დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.შეფასების პირველ ეტაპზე სააგენტოს ცენტრალური აპარატის 90-მა თანამშრომელმა eHRMS სისტემის პირად გვერდზე, შეფასების მოდულში, განსაზღვრა მიმდინარე წლის მიზნები და კომპეტენციები. მეორე ეტაპზე - 90 თანამშრომლის მიმართ განხორციელდა შუალედური შეფასება. მესამე ეტაპზე - 86 თანამშრომლის მიმართ განხორციელდა საბოლოო/წლიური შეფასება. შეფასების სისტემის სრულყოფილად, ვადების დაცვით, ხარვეზების გარეშე შევსების ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგი განხორციელდა შეფასების პროცესის მიმდინარეობაზე;
- სადაზღვევო კომპანია ,,PSP”-ში დაეზღვა 974 თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები, აქედან სააგენტოს მიერ დაზღვეული არის 823 თანამშრომელი.
- მიმდინარეობს ,,დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის პროცედურები, კერძოდ, რეგიონული სატყეო სამსახურებიდან შემოსული ინფორმაციების შესაბამისად, შესაბამის პორტალზე აიტვირთა 176 ვაკანსია. 2024 წლის იანვარი-ნოემბრის საანგარიშო

პერიოდში დასაქმდა 144 სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირი (დამხმარე სპეციალისტი - 124, დარაჯი - 12, დამლაგებელი - 8).

- „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს მთავრობის N245 დადგენილების შესაბამისად, სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტომ 94 სტაჟიორის შერჩევის მიზნით სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ www.hr.gov.ge-ის ვებგვერდზე გამოაცხადა 17 სტაჟირების კონკურსი. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ - გვერდზე ატვირთული იქნა და შესაბამისად გადაირჩა 70 აპლიკაცია. შეფასება/გადარჩევის ეტაპი გაიარა (გადალახა) და კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავიდა 37 კანდიდატი, კონკურსის წესით დაინიშნა 6 სტაჟიორი;
- პირადი განცხადების საფუძველზე სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოში სტაჟიორად დაინიშნა ერთი მოქალაქე.
- სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოსული წერილების რაოდენობა შეადგენს - 6923 წერილი/განცხადება, მომზადებულია - 11801 მოხსენებითი და სამსახურებრივი ბარათი, სააგენტოდან გასულია - 5849 წერილი და მომზადებულია 7995 სამართლებრივი აქტი.

7. სტრატეგიული დაგეგმვა-განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა

სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკისა და მიდგომების გაზიარების მიზნით, ეროვნული სატყეო სააგენტო ინტენსიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, 2024 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ნაწილი კი კვლავ მიმდინარეობს. ასევე, მომავალში სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებისთვის ინიცირებულია ახალი საპროექტო განაცხადები.

7.1. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წლის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომლის დანიშნულებაა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, მონიტორინგისა და

შეფასების დანერგვა და ამ მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება.

შემუშავდა სააგენტოს 2024 წლის სამოქმედო გეგმა, რაც მოიცავს რეგიონებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს და სამუშაოების შესრულების ვადებს.

ასევე, მომზადდა შემდეგი ანგარიშები:

- ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ანგარიში;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის წლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში;
- 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)- ის წლიური ანგარიში;

7.2. საერთაშორისო თანამშრომლობა

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), კლიმატის მწვანე ფონდისა (GCF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერა:

- *ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში ტყის დეგრადაციის შედეგად სათბური აირების გამოყოფის შემცირებისთვის* (GIZ/GCF/NFA)

პროექტი მიზნად ისახავს ტყეების დეგრადაციით გამოწვეული ემისიების შემცირებას ტყეების მდგრადი მართვის გზით, აგრეთვე ენერგოეფექტური და ალტერნატიული საწვავის პოპულარიზაციას, საშეშე მერქნის მოხმარების შესამცირებლად, რაც ტყეების დეგრადაციის მთავარი გამომწვევი მიზეზია.

2024 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

3 სამიზნე რეგიონში, გურიაში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში განხორციელდა საქმიანი ეზოების გახსნა/ღია კარის დღეები. გურიაში - ოზურგეთსა და ჩოხატაურში, მცხეთა-მთიანეთში - ყუდროსა და დაბა თიანეთში, კახეთში - ახმეტაში, თელავში და ყვარელში. ღია კარის დღეებზე მოწვეული იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობა და სკოლის მოსწავლეები.

ღონისძიება მიზანდ ისახავდა მოსახლეობასა და უწყებებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და საქმიანი ეზოების მუშაობის სპეციფიკის გაცნობას.

ტრენინგები

- საქმიანი ეზოების თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების საფუძვლებსა და მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში. დაგეგმილია დამატებითი ტრენინგების ჩატარება, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვისა და საქმიანი ეზოების ოპტიმალურად ოპერირების მიმართულებით.
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონულ და ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს სატყეო დარგის საერთაშორისო ექსპერტის - ფრანკ ფერლინის მიერ ჩაუტარდათ 5 დღიანი ტრენინგები თემაზე: „ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მართვა /პრაქტიკული ტყის მართვა“.
- პროექტის ფარგლებში ჩაუტარდათ ტრენინგები საქმიანი ეზოების მენეჯერებსა და ოპერატორებს (ჯამში 30 ადამიანს) „მომხმარებელთა საჩივრებისა და უკუკავშირის მართვა ეროვნულ სატყეო სააგენტოში“. აღნიშნული ტრენინგი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით ჩაატარა ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა (IRC);
- პროექტის ECO-Georgia-ს ფარგლებში, გურიაში (ჩოხატაური) და კახეთში (ახმეტა) ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „გარემოზე შემცირებული ზემოქმედებით ხე-ტყის დამზადება და გამოტანა“ (პრაქტიკული განხორციელება). აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული კოლეჯების პედაგოგებმა და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასაქმებულმა თანამშრომლებმა.

ტექნიკა

სააგენტოს მიზნობრივი გრანტის ფარგლებში (GCF/)GIZ-ის) შეძენილი/მოწოდებულია:

- სატვირთო თვითმცლელი (6*6) შეშის სატარებლად (ტყიდან) - 9 ერთეული;
- სატვირთო ჰიდრომანიპულატორით (6*6) მორების სატარებლად (ტყიდან) - 2 ერთეული;
- სატვირთო თვითმცლელი (4*2) შეშის სატარები საბიუჯეტო ორგანიზაციებში - 4 ერთეული;
- სატვირთო თვითმცლელი (8*4) შეშის სატარები საბიუჯეტო ორგანიზაციებში - 3 ერთეული;
- ევაკუატორი - ბაქნიანი ლაფეტი - 1 ერთეული;

- 3 ერთეული ტრაქტორი (სკიდერი) (მოწოდება 2024 წლის 3 სექტემბრამდე);
- 3 ერთეული საჩეხი.

ინვენტარიზაცია

- დასრულდა ოზურგეთის სატყეო უბნის (ფართობი - 19300 ჰა) ელ. ტენდერი ტყის აღრიცხვის სამუშაოების მომსახურების შესყიდვის შესახებ მიმდინარეობს მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა მომწოდებელთან შემდგომში 10 წლიანი ტყის მართვის გეგმების შემუშავების უზრუნველსაყოფად;
- დასრულდა 6 სატყეო უბანში FMI წრიული რადიუსის მუდმივ სანიმუშო ფართობებზე, კორომების საშუალო ასაკის ლაბორატორიული მეთოდით დადგენა;
- დასრულდა და დამტკიცდა მინისტრის ბრძანებით ახმეტის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა - 55925 ჰა ფართობისთვის (14.02.2024წ. N2-146 ბრძანება).

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება.

პროექტის მიზანია, უმაღლესი განათლების სისტემაში სტრატეგიული ჩარჩოს შეცვლა, დუალური განათლების დანერგვის უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში, ეროვნული სატყეო სააგენტო ხელს შეუწყობს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს ორმაგი განათლების დასანერგად საპილოტე ღონისძიებების განხორციელებაში. პროექტის ხანგრძლივობა 4 წელია და სააგენტოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 18 511 ევროს შეადგენს. პროექტის განხორციელების მიზნით შექმნილია კონსორციუმი და მიმდინარეობს დუალური განათლების საუკეთესო პრაქტიკის კვლევა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2024 წელს გათვალისწინებული ღონისძიებებიდან მომზადდა:

- შეხვედრის ანგარიში;
- კონსორციუმის შეთანხმება;
- პროექტის მენეჯმენტის სახელმძღვანელო;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და პროგრამასთან ასოცირებულ მესამე ქვეყნებში დუალურ (ორმაგ) განათლებასთან მიმართებაში პრაქტიკისა და გამოცდილების სიღრმისეული ანალიზის ანგარიში;

- ანგარიში კომპანიის საჭიროებების შესახებ დუალურ (ორმაგ) განათლებაზე საქართველოში;
- პროექტის განმახორციელებლის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ფორუმში მონაწილეობის მიღება და ანგარიშის მომზადება.

სლოვენიის რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრის (CMSR) მხარდაჭერა

საერთაშორისო თანამშრომლობის და განვითარების ცენტრსა (CMSR) და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, პროექტის - ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში.

პროექტის I ფაზის ფარგლებში განხორციელდა ტყის ინვენტარიზაცია და მომზადდება ტყის მართვის გეგმა ადიგენის სატყეო უბნისთვის, აგრეთვე შემუშავდა ტყეების მრავალმიზნობრივი გამოყენების გეგმა. აქტივობების განხორციელების პროცესში, ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად ჩაერთვებიან სლოვენიელი ექსპერტები, რომლებმაც ტყის მდგრადი მართვის სლოვენიური გამოცდილება გაუზიარეს სააგენტოსა და ადიგენის ადგილობრივ მოსახლეობას.

პროექტის II ფაზის ფარგლებში, რომელიც 2024 წლის ნოემბერში დასრულდა, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ტრენინგები

- განხორციელდა სააგენტოს თანამშრომელთა სასწავლო ვიზიტი სლოვენიაში, სასწავლო ვიზიტი ფოკუსირებული იყო სატყეო გზების მშენებლობაზე;
- სსიპ ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები: სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების, შრომის უსაფრთხოების და სატყეო გზების დაპროექტება-მოწყობაში; პროექტის ფარგლებში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენერთა ტრენინგი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

სატყეო გზები

- ადიგენის სატყეო უბნის კეხოვანის სატყეოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 2,714 კმ გზას, ხოლო მოეწყო - 2,461 კმ.

ტყის სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა

- ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში - I ფაზის განმავლობაში მომზადდა ტყის მართვის რეკრეაციული გეგმა, რომლის მიხედვითაც პროექტის II ფაზის დროს განხორციელდა საკემპინგე, საფეხმავლო ბილიკისა და საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე მოხალისეთა 2 საზაფხულო ბანაკის ორგანიზება.
- სოფელ მოხეში უკვე მოეწყო სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის 1 კომპლექტი (1 საკემპინგე და საპიკნიკე ადგილი და საფეხმავლო ბილიკი) მოხალისეთა საზაფხულო ბანაკის მონაწილეების მიერ. ბანაკის მონაწილეები კი იყვნენ სლოვენიელი მოხალისეები, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობის და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.
- სლოვენიელი და ქართველი მოხალისეების, ადგილობრივი და ცენტრალური სატყეო სააგენტოს წარმომადგენლების ჩართულობით პროექტის ფარგლებში სექტემბერში მოეწყო ბანაკი, გაკეთდა „ოქროსციხისკენ“ მიმავალი საფეხმავლო ბილიკი. გარდა ამისა, განხორციელდა ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან შეხვედრები, ასევე ჩატარდა შეხვედრა მოსახლეობასთან.

8. საზოგადოებასთან ურთიერთობა

ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სატყეო სექტორის პოპულარიზაცია, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება და სააგენტოს საქმიანობის სრული გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მასმედიასთან და საზოგადოებასთან პერმანენტული დიალოგის გაძლიერების გზით, მნიშვნელოვნად ეხმარება სააგენტოს ამ მიზნის მიღწევაში.

სატყეო სააგენტოს საქმიანობა ვრცელდება ოფიციალურ **web, facebook და youtube** არხებზე. ასევე, ელექტრონული და ბეჭდური მედიის საშუალებებში - სატელევიზიო და რადიო არხებით, როგორიცაა საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, მაესტრო, პოს ტვ, პალიტრა ტვ, ფორმულა, მთავარი და საინფორმაციო სააგენტოებით.

2024 წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი თემების გავრცელება:

ტყითსარგებლობის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობდა კამპანია მოსახლეობის „საქმიანი ეზოების“ შესახებ ინფორმირების ფარგლებში.

სულ მომზადდა: 1 ბანერი, 2 სიუჟეტი, ეთერში გავიდა 5 გადაცემა. ინფორმაცია გაშუქდა სატელევიზიო და რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

მეტყევის პროფესიის პოპულარიზაციის, და დარგში ახალგაზრდა კადრების მოძიების და დასაქმების მიზნით რეგიონული სატყეო სამსახურების მეტყევეების ბანერი (#მემეტყევევარ, #დასაქმდიპროფესიით).

სულ მომზადდა: 9 ბლოგი, რომელიც გამოქვეყნდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ facebook გვერდზე.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გავიდა ორი სიუჟეტი მეტყევე ქალებზე, ხოლო ტყის კვირეულის ფარგლებში, ორი სიუჟეტი მეტყევეების ოჯახებზე.



ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებებში საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად შექმნილი მოხალისეობრივი პლატფორმა „ტყის მეგობარი“

ყველა დაინტერესებულ პირს, კერძო სექტორსა თუ მოხალისეებს, საშუალება აქვთ რეგისტრაცია გაიარონ პორტალზე - www.forestfriend.ge, რის მეშვეობითაც შეძლებენ სასურველი პროექტის შერჩევას, თანხის დონაციას და მოხალისედ დარეგისტრირებას.

დამზადდა 1 ბანერი, რომელიც გამოქვეყნდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ facebook არხებზე.

ყოველთვიურად ქვეყნდება ინფორმაცია რეგიონული სატყეო სამსახურების თანამშრომლების მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევათა და დაურეგისტრირებელი სახერხი საამქროების შესახებ.

სულ მომზადდა: 7 ბანერი და 13 სიუჟეტი. ინფორმაცია გაშუქდა სატელევიზიო და რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

გაიმართა სამუშაო შეხვედრა სატყეო სექტორის რეფორმის საკითხებზე

შეხვედრა გაშუქდა სატელევიზიო და რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყანაში ტყის მართვის ძირითადი ორგანოა, რომლის პრიორიტეტული მიმართულებებია ტყის აღდგენა, ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება



ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტებზე და ძირითად მიმართულებებზე ისაუბრეს სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნათია იორდანიშვილმა და დავით დამენიამ წამყვანი სატელევიზიო არხების გადაცემებში (8 გადაცემა), რომლებიც

ასევე, გაშუქდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

21 მარტი - ტყის საერთაშორისო დღე

მომზადდა: 1 ბანერი და 1 სიუჟეტი; გაშუქდა სატელევიზიო და რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ დაიწყო კამპანია „ნუ მოჭრი ბზას!“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა 3 ბანერი, ვიდეო რგოლი ცნობილი სახეების მონაწილეობით, ტელეკომპანია იმედის დილაში გავიდა სიუჟეტი, საინფორმაციო გამოშვებებში და სხვადასხვა ტელეკომპანიის 5 გადაცემაში სააგენტოს წარმომადგენლები მოსახლეობას კოლხური ბზის გადარჩენის მნიშვნელობაზე მიაწოდეს ინფორმაცია.

მეორე კვარტლის განმავლობაში განხორციელდა **საზღვარგარეთ საქმიანი ვიზიტები**: ჩეხეთში - სახელმწიფოს სატყეო პოლიტიკის, ტყისა და დაცული ლანდშაფტების მართვის პრაქტიკის, ტყის განვითარების გეგმების, ასევე, „საქმიანი ეზოების“ ფუნქციონირებისა და შეშის წარმოების სისტემის გაცნობის მიზნით; და სლოვენიაში - პროექტის „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა II“ მიმდინარეობის საკითხების განსახილველად.

REC Caucasus-თან თანამშრომლობის მემორანდუმი ტყის მართვის საკითხებში - მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს ბიომრავალფეროვნების კვლევის, კონსერვაციის და გარემოსდაცვითი განათლების განვითარების მიმართულებებით თანამშრომლობას, ასევე, ტყის მდგრადი მართვისა და ტყის ეკოსისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ზაფხული, ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკუთრებით ხანძარსაშიში პერიოდია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო **ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებებს ყოველწლიურად ახორციელებს. კამპანია „ნუ დატოვებ კოცონს უყურადღებოდ“** ფარგლებში მომზადდა 3 ბანერი, სოციალური რეკლამის ვიდეო რგოლი ცნობილი სახეების მონაწილეობით, საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა 3 სიუჟეტი, მომზადდა და სოციალური ქსელებით გავრცელდა 10 ვიდეო ბლოგი ცნობილი სახეების მონაწილეობით „ტყეში ქცევის წესების შესახებ“. ასევე, სხვადასხვა არხის 5 გადაცემაში სააგენტოს წარმომადგენლებმა მიაწოდეს მოსახლეობას ინფორმაცია ხანძრის გამომწვევი მიზეზების და ტყეში ქცევის წესების შესახებ.

ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებისთვის, სლოვენიური მეთოდის გამოყენებით, **ტყეებში უსაფრთხო მუშაობის შესახებ ფართომასშტაბიანი სასწავლო პროგრამა ხორციელდება.** სწავლება პროექტის **„ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა II“** ფარგლებში მიმდინარეობს.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოხეში **ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა - საპიკნიკე და საკემპინგე ადგილი მოეწყო.** მიმდინარე წელს, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა II“ ფარგლებში, დაგეგმილია კიდევ ორი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის და ერთი საზაფხულო ბანაკის მოწყობა.

სოფელ ჩორჩანას საქმიან ეზოში ტყეში უსაფრთხო მუშაობის, თანამედროვე ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენების დემონსტრირება გაიმართა. ასევე, მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, 5 კილომეტრამდე მონაკვეთზე სატყეო-სამეურნეო გზა, საფეხმავლო ბილიკები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, ბორჯომში, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე **დასუფთავების გაიმართა.**

ეროვნული სატყეო სააგენტო **ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების აღდგენით სამუშაოებს ახორციელებს.** გურიის

რეგიონში, სოფელ სურებში 8 კილომეტრამდე მონაკვეთზე, ხოლო სამცხე-ჯავახეთში, სოფელ კეხოვანში, 5

კილომეტრამდე მონაკვეთზე სატყეო გზების აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა.

საქართველოში სამუშაო ვიზიტით ტაჯიკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სატყეო სააგენტოს დელეგაცია იმყოფებოდა. მხარეებმა ტყის მართვის სფეროში საქართველოს გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო თანამშრომლობის





პერსპექტივაზე ისაუბრეს; ქართველმა სპეციალისტებმა ტაჯიკელ კოლეგებს ტყის, ბიომრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიებისა და აგრომეტყევეობის მართვის მიმართულებით არსებული პრაქტიკა გააცნეს. ვიზიტი გაშუქდა საინფორმაციო გამოშვებებში (1 სატელევიზიო სიუჟეტი და 2 სიახლე სოციალურ ქსელებში).

მეტყევის პროფესიულ

დღესთან დაკავშირებით

დამზადდა 1 ბანერი, 4 სიუჟეტი, 2 ვიდეო რგოლი და 2 სიახლე.

22 ოქტომბერს - ტყის დარგვის დღესთან დაკავშირებით შეიქმნა ბანერი.

ტყის სექტორის მხარდაჭერის პროექტის „ECO.Georgia” შესახებ გურიის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეიქმნა ვიდეო-ბლოგი „იცოდე რატომ არის ქართული ტყე უნიკალური“ 4 რგოლი - წიფელი, უთხოვარი, მუხა და სოჭი.

„ნუ მოჭრი ნაძვს!“ კამპანიის ფარგლებში დამზადდა 2 ბანერი.

*2024 წლის მესამე კვარტლის ბოლოს სააგენტოს სოციალური ქსელი Facebook-ის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ **16 508**-ს მიაღწია.*

სულ 2024 წელს ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობის გაშუქება:



საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 97 წერილი.

9. ბიუჯეტის შესრულება

9.1. ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2024 წლისათვის, ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 61,830.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 24,680.00 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 37,150.00 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები განსაზღვრული იქნა 65,145.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,680.00 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 40,465.00 ათ. ლარის ოდენობით. *საქართველოს მთავრობის 2024 წლის 06 მარტის N315 განკარგულებით* დაზუსტდა აღნიშნული მაჩვენებლები და სააგენტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში- 73,292.00 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,680.00 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 48,612.00 ათ. ლარი.

2024 წლის მეოთხე კვარტალში დაზუსტდა ბიუჯეტის მაჩვენებლები და სააგენტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში - 72,401.70 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 23,789.70 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 48,612.00 ათ. ლარი.

გარდა აღნიშნულისა, მიზნობრივი გრანტების დაფინანსების ხარჯთაღრიცხვების დაზუსტებულმა გეგმიურმა ოდენობამ 2,330.58 ათ. ლარი შეადგინა.

ცხრილი1.

2024 წლის გეგმა/ფაქტი და შესრულების პროცენტული მაჩვენებელი *ათ. ლარი*

დასახელება	2024 წლის დაზუსტებული გეგმა				2024 წლის ფაქტი				2024 წლის შესრულება			
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	**14,747.9**			**14,747.9**	**14,747.9**			**14,747.9**				
შემოსულობები	**63,270.28**	**23,789.70**	**2,330.58**	**37,150.00**	**74,161.86**	**23,663.33**	**961.01**	**49,537.51**	**117%**	**99%**	**41%**	**133%**
შემოსავლები	**63,270.28**	**23,789.70**	**2,330.58**	**37,150.00**	**74,161.86**	**23,663.33**	**961.01**	**49,537.51**	**117%**	**99%**	**41%**	**133%**
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	23,789.70	23,789.70	-	-	23,663.33	23,663.33	-	-	99%	99%		
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	37,150.00	-	-	37,150.00	49,537.51	-	-	49,537.51	133%			133%
გრანტები	2,330.58	-	2,330.58	-	961.01	-	961.01	-	41%		41%	
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა 31 09	**74,732.28**	**23,789.70**	**2,330.58**	**48,612.00**	**64,854.74**	**23,663.33**	**961.01**	**40,230.39**	**87%**	**99%**	**41%**	**83%**
ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 31 09 01	**28,614.78**	**9,389.00**	**20.78**	**19,205.00**	**26,499.28**	**9,280.42**	**-**	**17,218.86**	**93%**	**99%**		**90%**
ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 31 09 02	**6,314.27**	**900.00**	**64.27**	**5,350.00**	**4,941.39**	**894.51**	**1.96**	**4,044.92**	**78%**	**99%**	**3%**	**76%**
ტყითსარგებლობის ღონისძიებები 31 09 03	**38,662.24**	**13,250.70**	**2,245.54**	**23,166.00**	**32,275.10**	**13,238.41**	**959.05**	**18,077.64**	**83%**	**100%**	**43%**	**78%**
ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები 31 09 04	**1,141.00**	**250.00**	**-**	**891.00**	**1,138.96**	**250.00**	**-**	**888.96**	**100%**	**100%**		**100%**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**3,285.91**			**3,285.91**	**24,055.03**			**24,055.03**				

- *კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები*

ფაქტობრივად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2024 წელს შეადგინა **49,537.5 ათ. ლარი:**

გრაფიკი N1
2024 წლის საკუთარი შემოსულობების რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები სახეების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო ხაზინა

დაფინანსება სხვა წყაროებიდან:

საანგარიშო პერიოდში, მიზნობრივი გრანტების ფარგლებში განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურები და დამტკიცდა მიზნობრივი გრანტების ხარჯთაღრიცხვები:

- ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის" ხელშეკრულების ფარგლებში - 64,3 ათ. ლარზე; (ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის);
- დამტკიცდა 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა **სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა** და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 9 186.0 ათ. ლარზე, (8 სამიზნე სატყეო უბანი)“ **მიზნობრივი გრანტი N2471, 10.03.2022,** (ფულადი გრანტის მთლიანი მოცულობა - 14,873,206.00 ევრო).

სულ ჯამში მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2024 წლის გასაწევმა ხარჯების გეგმამ შეადგინა 2,330.58 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 961.01 ათ. ლარი.

ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N315 06.03.24) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N277 29.02.24) „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“;

- ✓ მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოს 2024 წლის საკუთარი შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლების განსაზღვრის შესახებ“ 2024 წლის 15 მარტის N418/ს ბრძანება.
- ✓ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 25 მარტის N2-240 ბრძანების საფუძველზე მომზადდა სააგენტოს 2023 წლის ანგარიში, 2024 წლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის ანგარიში.
- ✓ მომზადდა ფინანსური დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიში, 2024 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის ანგარიში.
- ✓ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების თანახმად მომზადდა 2023 წლის ანგარიში, 2024 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის ანგარიში.
- ✓ მომზადდა სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების (სოფლის სტრატეგიის, კლიმატის სამოქმედო გეგმის, ხედვა-2030) პერიოდული ანგარიშები და სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მაჩვენებლები;
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025-2028წწ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურთან და სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებთან კოორდინაციით მომზადდა სააგენტოს 2025-2028წწ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და საშუალოვადიანი ბიუჯეტი.
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025 წლის ერთიანი საბიუჯეტო განაცხადის შედგენის მიზნით, მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადი.
- ✓ მომზადდა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (ტყის მდგრადი

მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი) თანახმად კვარტალური ანგარიშგებები და ასევე საკუთარი კონტრიბუციის ფარგლებში ჩასათვლელი ანგარიშგების დანართები - NFA_Annex 3k - Own contribution;

- ✓ სააგენტოს მიერ გასაწევი ფასიანი მომსახურეობის ნაწილში მომზადდა და გაფორმდა 64 ხელშეკრულება *(მერქნული რესურსის აღრიცხვის, საკადასტრო ნახაზების მომზადების);*

ელექტრონული აუქციონის წესით მერქნული რესურსის რეალიზაცია.

- მერქნული რესურსის რეალიზაციის მიზნით, 2024 წლის მდგომარეობით გამოცხადდა 1246 ელექტრონული აუქციონი. გაყიდული მერქნული რესურსის მოცულობამ შეადგინა 128 419,4 კუბური მეტრი. აუქციონის საბოლოო გასაყიდმა თანხამ შეადგინა 30 114 137,42 ლარი.
- სახელმწიფო ტყის მიწის ნაკვეთზე საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით გამოცხადდა 17 (ჩვიდმეტი) ელექტრონული აუქციონი. აქედან შედგა 13 (ცამეტი) ელექტრონული აუქციონი 3 338 კვმ-ზე, რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 134 400 ლარი.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გამოცხადდა და შედგა 5 ელექტრონული აუქციონი 59 065 კვმ-ზე, რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 83 469.55 ლარი.

საქმიანი ეზოების მოწყობა და ინფრასტრუქტურული პროექტები

სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით დამთავრდა გარდამავალი პროექტები, კერძოდ: კახეთის რეგიონში ყვარლის ადმინისტრაციული შენობის რემონტი, ასევე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში სორის საქმიანი ეზოს, იმერეთის რეგიონში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მანდაეთის საქმიანი ეზოს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თეთრაწყაროს საქმიანი ეზოსა და ყვარლის საქმიანი ეზოს მშენებლობის სამუშაოები.

ასევე, დასრულდა ცაგერის ადმინისტრაციული შენობისა და ბოლნისის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა/რემონტი. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოებისა და საგარანტიო დოკუმენტაციის საფუძველზე სრულად დაფინანსდა ონის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა/რემონტი, რომლის მშენებლობა დასრულდება 2025 წლის მე-2 კვარტალში. 2024 წელს,

ასევე, მიმდინარეობდა მცხეთის ადმინისტრაციული შენობის (მცხეთა, მუხრანის ქუჩა, #21) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის მშენებლობა დასრულდება 2025 წლის მე-3 კვარტალში.

2024 წლის პერიოდში მიმდინარეობდა 16 საქმიანი ეზოს მშენებლობა. აქედან, ნაპირსამაგრი სამუშაოების გამო შეწყდა და გადაიდო ცაგერის მუნიციპალიტეტის წიფერჩის საქმიანი ეზოს მშენებლობა. საანგარიშო პერიოდში დასრულდა 13 ერთეული საქმიანი ეზოს მშენებლობა. მათ შორის: სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში 3 პროექტი (ხაბუმე, სენაკი, ხამისკური), სამცხე ჯავახეთის რეგიონში 2 პროექტი (აწყური, ზარზმა), იმერეთის რეგიონში 3 პროექტი (კორბოული, ხრეითი, ვანი), ქვემო ქართლის რეგიონში 2 პროექტი (ალექსეევკა, წალკა), რაჭა ლეჩხუმ ქვემო სვანეთში ნიკორწმინდის, შიდა ქართლში ოსიაურის და კახეთის რეგიონში მანავის საქმიანი ეზოს მშენებლობის სამუშაოები. კონტრაქტორების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 2 შეწყვეტილი პროექტი ქვემო ქართლსა (მამხუთი) და იმერეთში (გრიგალათი) ხელახლა გამოცხადდა 2024 წლის დეკემბრის თვეში. გასული წლის ბოლოს გამოცხადდა ტენდერი დაბა ასპინძაში შენობის რეაბილიტაციის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე. ხოლო ლენტეხსა და საჩხერეში არსებული შენობის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ჩატარდა ტენდერები და კონტრაქტორებთან გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები.

სულ სააგენტოში, დღეის მდგომარეობით მოწყობილია 69 საქმიანი ეზო (ზესტაფონი, მათხოჯი, დაბა თიანეთი, ხევსურთსოფელი, თვალივი, ბულაჩაური, კანატია, ლისი, ბოდორნა, ციხისძირი, ანანური, ლაგოდეხი, თელავი-კისისხევი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, გურჯაანი, ახმეტა, კოჭბაანი, ანდეზიტი, წაღვერი, ასპინძა, ჩორჩანი, ზღუდერი, ლესემა, სადმელი, ბორჯომის პლატო, ხაშური, ახალციხე, ზუგდიდი, ამამლო, ხოდაშენი, ბოლნისი, ჩოხატაური, შემოქმედი, ჯიღაურა, ძეგვი, გორი-ბობნევი, კასპი, ტყიბული, ახალსოფლი, მარტვილი, თეთრიწყარო, საჩხერე, ცაგერი-გაგულეჩი, მანდაეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური-ქვენობანი, ფშაველი, წალენჯიხა-ჯვარი, ენისელი, ჭიკაანი, ყუდრო, ნერგეეთი, სორი, თეთრაწყარო, ყვარელი, ოსიაური, ვანი, ხაბუმე, მანავი, კორბოული, წალკა, აწყური, სენაკი, ალექსეივკა, ხრეითი, ნიკორწმინდა, ხობი-ხამისკური, ზარზმა).

დასრულებულია ასევე სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წელს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით - 11 653 391.80 ლარზე, საკუთარი სახსრებით - 16 640 231.39 ლარზე, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში - 1 029 357.82 ლარზე;

სატრანსპორტო საშუალებები

ხელშეკრულებები გაფორებულია სააგენტოს **საკუთარი სახსრების ფარგლებში:** 34 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, კერძოდ:

- სატვირთო თვითმცლელი (6x6) - 9 ერთეული;
- სატვირთო ჰიდრომანიპულატორით (6x6) - 2 ერთეული;
- სატვირთო თვითმცლელი (4x2) - 4 ერთეული;
- სატვირთო თვითმცლელი (8x4) - 3 ერთეული;
- ევაკუატორი - უნაგირა საწევარა (8x4) – 1 ერთეული;
- ექსკავატორი - 2 ერთეული;
- ბულდოზერი - 3 ერთეული;
- კვადროციკლი - 9 ერთეული;
- უნაგირა საწევარა - 1 ერთეული.

*აქედან **2024 წელს** მოწოდებულია **4** სატვირთო თვითმცლელი (4x2), **3** სატვირთო თვითმცლელი (8x4), **2** სატვირთო (6x6) და **9** კვადროციკლი, ხოლო დანარჩენის მოწოდება განხორციელდება 2025 წლის I-II კვარტალში.*

სააგენტოს **საბიუჯეტო** სახსრების ფარგლებში 2024 წელს შეძენილია/მოწოდებულია - 3 ერთეული ტრაქტორი (სკიდერი);

სააგენტოს **მიზნობრივი გრანტის** ფარგლებში (GCF/GIZ) შეძენილია/მოწოდებულია - 3 ერთეული საჩეხი.